ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 184

"20" მაისი 2025 წ.

ქ. თბილისი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოწონების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 29 აპრილის №25.685.765 განკარგულების საფუძველზე და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის სახდელდადებულ პირთა ინტერესების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №86 განკარგულებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პირებს, რომელთა მიმართაც 2023 წლის პირველი ივლისიდან 2025 წლის პირველ ოქტომბრამდე შედგენილია/შედგენილი იქნება ელექტრონული საჯარიმო ქვითრები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისათვის და ამ ელექტრონული საჯარიმო ქვითრით განსაზღვრული ჯარიმა ან/და ჯარიმის გადაუხდელობის გამო დარიცხული საურავი გადახდილი აქვთ/ექნებათ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის სახაზინო კოდზე (300773255), ამასთან, ფიქსირდება/დაფიქსირდება სამართალდამრღვევის მონაცემები (სახელი, გვარი და პირადი ნომერი), თუმცა არ აქვთ/ექნებათ მითითებული ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნომერი, ჩაეთვალოთ

გადახდილად და მათ მიმართ აღარ განხორციელდეს/აღარ გაგრძელდეს გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიებები.“.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე